

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის ოქმი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

12.02.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, თენგიზ დვალიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, ეთერ ჭიჭინაძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტყარაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ხარაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, კობა ძაგნიძე, დავით ადეიშვილი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- სალომე ფახურიძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია;**
მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი-**მამუკა ნამიჭეიშვილი;**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ტარიელ ბარამიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით გაბუნია

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N1-ის სათაურში და „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში“ (დანართი N2-ში) ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დავით გაბუნია

6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილება-დამატების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: გიგა გოგიბერიძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტი სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა-მირანდა ბელთაძემ (საპატიო მიზეზით ივანე მამფორიას არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განპირობებულია საქართველოს მთავრობის N0114- 21.01.2020 და N0027, 09.01.2020 განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის N2630 განკარგულებაში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე “2020 წლის 21 იანვარს N0114 განკარგულებით განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც გამოყოფილი თანხა გაიზარდა 130,5 ათასი ლარით და ჩამოყალიბდა 3639,8 ათასი

ლარის რედაქციით. თანხა გამოიყო დიხაშხო ბზვანის გზის რეაბილიტაციის მიზნით.

2020 წლის 27 იანვარს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული N320211-23 დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად გამოეყო 39,6 ათასი ლარი.

ამ ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საბიუჯეტო პროგრამა „საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება“ (02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გაიზარდა 130,5 ათასი ლარით, ხოლო „ზოგადი განათლების ხელშეწყობა“ (04 03) ტრანსპორტის ხარჯების მუხლში 39,6 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 12109,4 ათასი ლარით, გადასახდელები 13433,5 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება -1324,1 ათასი ლარის რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი—არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება: N2)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-ტარიელ ბარამიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მომხსენებელმა განმარტა, რომ „საკრებულოს თავმჯდომარის ანაზღაურების მომატებასთან

დაკავშირებით იზრდება საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურება, ამდენად დადგენილების პროექტის მიხედვით:

1. დანართი N1 შეიცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

დანართი N1 ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების (შემდგომში- საკრებულოს წევრის ხარჯები) ზღვრულ ოდენობას, მისი ანაზღაურების წესსა და პირობებს.

მუხლი 2

1. საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და ანაზღაურდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თვეში არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა:

ა) საკრებულოს სხდომების მუშაობაში მონაწილეობისათვის;

ბ) საკრებულოს კომისიების მუშაობაში

მონაწილეობისათვის;

გ) საკრებულოს ფრაქციების მუშაობაში

მონაწილეობისათვის;

დ) ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის (შესაბამისი საოქმო ჩანაწერის გაფორმებით).

2. საკრებულოს წევრს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თითოეული საქმიანობის განხორციელებისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად ეძლევა 100 (ასი) ლარი.

3. საკრებულოს წევრს, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, შეიძლება აუნაზღაურდეს ასევე ის გონივრული მატერიალური ხარჯი, რომლის გაწევაც მას მოუხდა წარმომადგენლობით ორგანოში წევრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების (საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, დადგენილების პროექტის ინიცირება, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა, საკრებულოს

წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა, მოქალაქეთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა, ანგარიშის საჯარო განხილვა, მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედ, დროებით კომისიებში, საბჭოებსა თუ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა) განხორციელებისას.

3. საკრებულოს წევრის ხარჯების კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულ იქნეს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრის ფაქტობრივი დასწრების მონაცემები, რაც დასტურდება შესაბამისი სხდომების საოქმო ჩანაწერით ან/და სარეგისტრაციო ფურცლით. მხედველობაში ასევე მიიღება საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი მოსახლეობასთან შეხვედრის დამადასტურებელი ოქმები, აგრეთვე ხარჯების დამადასტურებელი

სხვა დოკუმენტები (ანგარიშფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი, ქვითარი და ა.შ.).

მუხლი 3

1. საკრებულოს წევრი მის მიერ გაწეული ხარჯის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისათვის ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვისა საკრებულოს აპარატში წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტებთან და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად.

2. საკრებულოს წევრის საქმიანობის აღრიცხვის წარმოებას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

3. საკრებულოს აპარატის უფროსი საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საკრებულოსა და საკრებულოს ორგანოების სხდომებზე დასწრების ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ადგენს მოხსენებით ბარათს და წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა.

4. საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯის კონკრეტული ოდენობის მითითებით და უგზავნის მას მუნიციპალიტეტის მერს.

5. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურების დარიცხვას არაუგვიანეს ყოველი თვის 30 რიცხვისა, საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ მე-100 მუხლის 4-ე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით,

უნადლო ანგარიშსწორების ფორმით, საკრებულოს წევრის მიერ წარდგენილ საბანკო ანგარიშზე.“

2. დანართი N2 ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ამსახველი მონაცემების ცხრილი გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი–არცერთი

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

(დადგენილება:N3)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ; მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება შევიდა 2019 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილების დანართი N3-ის („სამედიცინო დახმარების პროგრამა“) მე-8 პუნქტში და წარმოადგინა ეს ცვლილებები:

„8. დახმარების მოცულობის განსაზღვრა;

8.1. დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით;

8.2. პირველ კატეგორიაში შედიან ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები;

8.3. მეორე კატეგორიაში შედიან:

ა) გულის დაავადებათა მქონე პაციენტები;

ბ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები;

გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები;

8.4. მესამე კატეგორიაში შედიან:

- ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 70000 - ის ჩათვლით;
- ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 100000-ის ჩათვლით;
- გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები;

8.5. მეოთხე კატეგორიაში შედიან:

- ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70001-დან 150000 -ის ჩათვლით;
- ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები;
- გ) 75 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები.

8.6. მეხუთე კატეგორიაში შედის დახმარების მიმღები ყველა სხვა მოქალაქე.

8.7. პირველ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიის ბენეფიციარებს უფლება აქვთ ლიმიტით განსაზღვრული თანხა გამოიყენონ ძირითადი დაავადების სამკურნალო მედიკამენტების შესაძენად, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტისა და ფარმაცევტული დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

8.8 მეორე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს, თუ ისინი გადიან მკურნალობის კურსს 8.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება 8.3 ქვეპუნქტში არშემავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, მათ დამატებით შეუძლიათ ერთჯერადად ისარგებლონ დაფინანსებით, მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 700 (შვიდას) ლარს.

8.9. მესამე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარისა.

მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებზე არ ვრცელდება მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მათთვის ორსულობის, საკეისრო კვეთის ან ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარით, თუ მათ გადასახდელ თანხაში არ შედის ექიმის ან სამშობიარო სახლის არჩევით გამოწვეული ხარჯები.

8.10. მეოთხე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

8.11. მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

8.12. თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10 % - ით, არაუმეტეს 2000 ლარისა.“

2. დადგენილების დანართი N13-ის („უსახლკაროთა დახმარების პროგრამა“) მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კომისიის გადაწყვეტილების და სამსახურის მიერ მოძიებული დამატებითი მასალების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის ქირის განსაზღვრული ოდენობის თაობაზე.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დადგენილება:N4)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-ნარგიზა ალფაიძემ (საკვალიფიკაციო მიზნით დავით გაბუნიას არ ყოფნის გამო) წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ მომხსენებელმა განმარტა, რომ „მოგეხსენებათ რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილება, რომელსაც მოჰყვა შტატების შემცირება, გაუქმებული განყოფილების ხარჯზე უნდა შეიქმნას ახალი განყოფილება სახელწოდებით „არქიტექტურულ და საამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება“.

შესაბამისად შევიდა ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“:

ა) მე-10 მუხლის მეოთხე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნას დ.ბ ქვეპუნქტი და დ.გ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: - „დ.გ) არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება“.

ბ) მე-10 მუხლის მეოთხე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს დაემატოს „ე.ბ“ „არქიტექტურულ და საამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

(დადგენილება: N5)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-ნარგიზა ალფაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N1-ის სათაურში და „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში“ (დანართი N2-ში) ცვლილების შეტანის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდეს ცვლილება

ა) ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N1-ის სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების და პროფესიულ საჯარო მოხელე თანამდებობრივი სარგოები“ ბ) „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა“-ში (დანართი N2-ში) და დამტკიცდეს დანართი N2 წარმოდგენილი სახით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელსეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-გიგა გოგიბერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის #27 49 განკარგულებაში ცვლილება-დამატების შეტანის თაობაზე;

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა „ცვლილება განპირობებულია იმით, რომ მოგეხსენებათ ვანის სპორტ სკოლა რამდენიმე დღის წინ ხანძრის შედეგად დაიწვა, შესაბამისად უნდა განხორციელდეს აღდგენითი სამუშაოები. ამდენად განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ცვლილება-დამატებას „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში და განკარგულების დანართს ემატება ხანძრის შედეგების სალიკვიდაციო ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართის შესაბამისად) ხანძრის შედეგად დაზიანებული ვანის სპორტული სკოლის შენობის აღდგენითი სამუშაოების ხარჯი კი შეადგენს-484108 ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი–არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

(განკარგულება:27 2)

მოსმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შესახებ დეტალურად მოგახსენებთ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი-სალომე ფახურიძე, შესაბამისად გადავცემ სიტყვას. გენდერული საბჭოს მდივანმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა“ და აღნიშნა, „გამომდინარე იქედან, რომ „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა“ მოცულობითია, გაგაცნობთ იმ მნიშვნელოვან ფუნდამენტურ საკითხებს, რომელსაც ითვალისწინებს აღნიშნული სამოქმედო გეგმა: გენდერული საბჭოს როლის როგორც ინსტიტუციონალური მაქანიზმის და როლის გაძლიერება, გენდერული მეისტრიმინგის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, საბჭოს საქმიანობის, მიზნების და ამოცანების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ ყველა შესაბამის სეგმენტთან, ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა-განხორციელება, მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის უწყებებთან. უნდა აღინიშნოს, ყოველი წლის ბოლოს გენდერული თანასწორობის საბჭო გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშვალდებული იქნება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის წინაშე.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა-ეთერი ჭიჭინაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს: იგეგმება თუ არა 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება? მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „გასულ წელს გენდერული საბჭოს და ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით 8 მარტს გაიმართა ღონისძიება, სადაც სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილ ქალბატონებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები, გამომდინარე იქედან, რომ ღონისძიებამ მოწონება დაიმსახურა სხვადასხვა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრებზე, შესაბამისად აღნიშნული ღონისძიება ტრადიციულ სახეს მიიღებს და გაცილებით მასშტაბურ ფორმატში გაიმართება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

წინააღმდეგი–არცერთი

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს განკარგულება ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

(განკარგულება:27 3)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

